პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №4

ქ. თბილისი 12.03.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
ელგუჯა მელაძე – ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცის პრეზიდენტი; საბჭოს სხდომის თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
მანანა მახარაშვილი - შპს „საზოგადოებრივ კოლეჯ Nataly Academy-ის“ ხარისხის მენეჯერი, საბჭოს სხდომის მდივანი (შემდგომში - მდივანი);
მამია ჯანჯალია - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ დირექტორი;
ნინო ჩიქოვანი - საქართველოს სავაჭრო - სამრეწველო პალატის პრეზიდენტი;
ეკატერინე ნარეშელაშვილი – სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის უფროსი;
თამარ ტაბიძე - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) ლექტორი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესიული განათლების ექსპერტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის საბჭოების კოორდინაციის სპეციალისტი;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯის წარმომადგენლები:
რევაზ შარაბიძე - დირექტორი
ეთერ იჩქიტიძე - ფინანსისტი
გიორგი ძიძიგური - აღმასრულებელი დირექტორი

სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "იკაროსის" წარმომადგენლები:
ლია ვაშაკაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი
რუსუდან გულაზიანი - იურისტი
ეკატერინე ტუღუში - სასწავლო პროცესის მენეჯერი

სსიპ პროფესიულ კოლეჯ ''მოდუსის'' წარმომადგენელი:
მადონა გოგობერიშვილი - ხარხისხის მართვის მენეჯერი

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ წარმომადგენლები:
ნოდარ ხარაზიშვილი - დირექტორის მ/შ
მანანა ნიაზაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
ზაირა ბერიძე
მაკო ჯაოშვილი
ინგა ბაქრაძე

სხვა დამსწრე პირები:
მარინა გოგოლაძე - ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის ხარისხის მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის უფროსი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:25 საათზე.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ თუ დამსწრე საზოგადოება წინააღმდეგი არ იქნებოდა საბჭოს სხდომის ოქმის მოსამზადებლად მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩანაწერის მომზადება და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის ხელმოწერისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი, ამიტომაც ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტით მისადმი მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დააკისრა მანანა მახარაშვილს.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - პროფესიული კოლეჯი ,,მოდუსის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №21 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
3. ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი იკაროსის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №26 და ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი ,,იკაროსისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 3 სექტემბრის №19 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
4. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ''მერმისის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №23, სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 3 სექტემბრის №15, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ''მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 22 სექტემბრის №25 და სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ''მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 ივნისის №17 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
5. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 13 სექტემბრის №21 და სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 5 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ნანი დალაქიშვილმა, საბჭოს მოახსენა, რომ დღის წესრიგით მეოთხე საკითხად გათვალისწინებულია სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისის'' ავტორიზაციის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №23, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ''მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 3 სექტემბრის №15, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ''მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 22 სექტემბრის №25 და სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ''მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 ივნისის №17 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა. აღნიშნა, რომ საბჭოს დაწყების წინ ცენტრში ოფიციალურად შემოვიდა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ''მერმისის" დირექტორის შუამდგომლობა საკითხის გადატანასთან დაკავშირებით, ამდენად, სამსახური ეთანხმება შუამდგომლობას, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისის" გადაწყვეტილებებში ცვლილებების საკითხი განხილულ იქნას ავტორიზაციის საბჭოს შემდეგ სხდომაზე.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ დღის წესრიგით მეხუთე საკითხად გათვალისწინებულია სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 13 სექტემბრის №21 და სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 5 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა. აღნიშნულ საკითხში ტექნიკური ხარვეზის გამო გამორჩენილია სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 30 აგვისტოს №29 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი. გამომდინარე აქედან საბჭოს მიმართა შუამდგომლობით აღნიშნული საკითხი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 13 სექტემბრის №21, სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 30 აგვისტოს №29 და სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 5 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შუამდგომლობის საფუძველზე საბჭომ კენჭისყრით შეცვალა სხდომის დღის წესრიგი და განსაზღვრა შემდეგნაირად:

1. ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - პროფესიული კოლეჯი ,,მოდუსის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №21 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
3. ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი იკაროსის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №26 და ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი ,,იკაროსისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 3 სექტემბრის №19 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.
4. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 13 სექტემბრის №21, სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 30 აგვისტოს №29 და სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 5 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ავტორიზაციის დებულებაში 2018 წლის 31 იანვრის N07/ნ ბრძანებით შეტანილი ცვლილების საფუძველზე, დებულების მე-40 მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებს დაევალათ გადაენაწილებინათ ადგილები ყველა, მათ შორის ე.წ. საგნობრივ პროგრამეზეც და 2018 წლის 1 მარტამდე შუამდგომლობით მიემართათ შესაბამისი საბჭოსათვის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების განსაზღვრასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე. აქვე აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დებულების 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა წარმოადგენს თითოეული პროგრამის მიხედვით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების ჯამს, რაც იწვევს დაწესებულებისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობის კორექტირებას.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის N656 ბრძანებით შეიცვალა

ზოგადი სავალდებულო მოდულები, რის საფუძველზეც, ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის გ) პუნქტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით (პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს), დაწესებულებებმა ავტორიზაციის დებულების 302 მუხლის პუნქტის საფუძველზე წარმოადგინეს ინფორმაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების თაობაზე.

ასევე აღნიშნა, რომ საბჭოს გადაწყვეტილებებში კორექტირდება მისანიჭებელი კვალიფიკაციების ფორმულირება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-4 დანართის შესაბამისად და მიეთითება პროფესიული სპეციალიზაციის კოდი.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ დღის წესრიგში შეტანილი სამი საკითხი ითვალისწინებს რიგი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის განხილვას, აქვე აღნიშნა, რომ რიგ შემთხვევებში დაწესებულებებმა მოითხოვეს საგნობრივი პროგრამების გაუმება, რის შესაბამისადაც დაკორექტირდა გადაწყვეტილებები.

საბჭოს წევრები დაეთანხმნენ საკითხის ამგვარად დასმას.

1. ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასების შევსებულ ფორმასა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ წარდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ზაირა ბერიძემ, ინგა ბაქრაძემ და მაკო ჯაოშვილმა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ზაირა ბერიძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას ცენტრში შემოტანილი ჰქონდა განაცხადი საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსის მოსაპოვებლად. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო საგანმანათლებლო პროგრამებს, კოლეჯისა და პრაქტიკის ობიექტების მატერიალურ რესურსებს, ადამიანურ რესურსებს, შრომით ხელშეკრულებებს, მემორანდუმებს და ფაქტობრივ გარემოებას, რამდენადაა კოლეჯი მზად სასწავლო პროცესის განსახორციელებლად, რაც შესაბამისად აისახა დასკვნაში. აღნიშნა, რომ მხოლოდ ერთი ქვესტანდარტის დარღვევას აქვს ადგილი, კერძოდ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის „ექსკურსიის ჩატარების' მოდულის განმახორციელებელი პირის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა მოთხოვნებს. აღნიშნულთან დაკავშირებით კოლეჯს მიეცათ მითითება და რამდენადაც ექსპერტებისთვისაა ცნობილი, კოლეჯმა შეცვალა ეს მასწავლებელი. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო გეგმაში იყო უზუსტობები წინაპირობების დაცვასთან დაკავშირებით, რაც ასევე გასწორდა.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ მათი გიდის პროგრამისათვის პრაქტიკული/სიმულაციური გარემოს ფართი არ იყო საკმარისი, მიეცათ რეკომენდაცია და შესაბამისად, კოლეჯის ხელმძღვანელობამ გამოყო ამ მიზნისთვის სააქტო დარბაზი. საბჭოს წევრი მანანა მახარაშვილი დაინტერესდა, რატომ შეიქმნა AC გარემოსთან დაკავშირებული პრობლემები,

ზაირა ბერიძემ განმარტა, რომ გამოყოფილ ოთახში ვერ მოხერხდებოდა ტურისტული კარვის გაშლა, კოლეჯმა ოპერატიულად გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია.

ექსპერტებმა შენიშნეს, რომ დაწესებულების ვებგვერდს ჰქონდა გარკვეული პრობლემა, ზაფხულის შემდეგ ვებგვერდზე სიახლეები არ ჩანდა. აღნიშნულთან დაკავშირებით კოლეჯის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ მოხდა საიტის „გატეხვა" და დაიკარგა ინფორმაციები. აქვე აღნიშნეს, რომ ამ ეტაპისთვის საიტი აღდგენილია.

ზაირა ბერიძემ აღნიშნა, რომ პრაქტიკის ობიექტები არის საუკეთესოდ შერჩეული. გასაუბრებითაც დადასტურდა, რომ მათი მხრიდან მზაობაა თანამშრომლობისთვის. აქვე შენიშნა, რომ კოლეჯის მიერ მოთხოვნილი რაოდენობის პრაქტიკის გავლის სრული შესაძლებლობა არსებობს. მთლიანად მოთხოვნილია 168 სტუდენტი (პროგრამების მიხედვით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი - 60, საოფისე საქმე - 54, ღონისძიების ორგანიზება - 54). თუმცა აღნიშნა, რომ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისად მოთხოვნილზე მეტი სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს კოლეჯს.

თამარ ტაბიძე დაინტერესდა, რამდენად კვალიფიციური ადმინისტრაციული პერსონალი ჰყავს კოლეჯს. აქვე იკითხა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის „ექსკურსიის ჩატარების" მოდულის განმახორციელებელთან დაკავშირებით რატომ შეიქმნა პრობლემა. ზაირა ბერიძემ განმარტა, რომ მოდულის განმახორციელებელ პირს დოკუმენტურად არ უდასტურდებოდა პრაქტიკული გამოცდილება, თუმცა მასთან გასაუბრებით და CV-ის მიხედვით პრატიკული გამოცდილება უდასტურდებოდა. კოლეჯმა უკვე შეცვალა ეს პირი. სხვა პირთა კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

თამარ ტაბიძემ კოლეჯის დირექტორს დაუსვა კითხვა, რამდენად აქვს შესწავლილი კოლეჯს შრომის ბაზრის მოთხოვნა, მაშინ როცა ითხოვენ ღონისძიების ორგანიზების პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა 54 ადგილს. დირექტორმა უპასუხა, რომ შრომის ბაზარი სრულად შესწავლილი არა აქვთ, მაგრამ თვლის რომ ამ პროგრამაზე ისწავლიან არა მარტო თბილისელები, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით შეიძლება მოიძიონ მსურველები, მართალია კოლეჯი საეროა, მაგრამ საპატრიარქოს მხარდაჭერით ფუნქციონირებს და კურსდამთავრებულებს დასაქმების დიდი შესაძლებლობები აქვთ. შენიშნა, რომ მნიშვნელოვანია, განათლების ხარისხის ცენტრმა შეიმუშავა ეს პროგრამა, შესაბამისად ვთლიან, რომ აქტუალურია და მოთხოვნადი. შენიშნა, რომ ადრე პროგრამები მოკლევადიანი იყო, ეხლა მოდულური პროგრამა გრძელვადიანია, შესაბამისად მეტ უნარს იძენს სტუდენტი და მეტად დასაქმებადი იქნება. თუმცა, შენიშნა, რომ არ იქნება წინააღმდეგი თუ საბჭო ნაკლებ რაოდენობაზე მიიღებდა გადაწყვეტილებას.

მამია ჯანჯალიამ დამატებით გამოთქვა მოსაზრება, რომ საოფისე საქმეზეც 54 ადგილის მოთხოვნა ამბიციურად მიაჩნია, რადგან მათი დასაქმების შესაძლებლობებიც შეზღუდულია,

რადგან დამსაქმებელი უფრო უმაღლესდამთავრებულებს ირჩევს. მანანა მახარაშვილმა დაამატა, რომ კოლეჯს შეეძლო გამოეყენებია ჯანდაცვის სამინისტროს კვლევები.

საბჭოს თავმჯდომარემ შეაჯამა დისკუსია, კიდევ ერთხელ ჰკითხა ექსპერტებს, როგორია მათი საბოლოო დასკვნა, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ და წევრმა მაკო ჯაოშვილმა განაცხადეს, რომ ა(ა)იპ ახალ საზოგადოებრივ კოლეჯში ექსპერტთა მიერ განხოციელებული ვიზიტის დასკვნა მთლიანობაში დადებითია, კოლეჯის რესურსები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სრულყოფილად განხორციელდეს სასწავლო პროცესი. ექსპერტთა მიერ მიცემული რეკომენდაციები მხოლოდ სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით უნდა იქნას აღქმული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ახალი საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 168-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ახალ პროფესიულ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404379070) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 168-ით.

დანართი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი (1)	მეხუთე	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112063	115	145	ქართული	60	ქ. თბილისი, დიდგორის ქ №64
2	საოფისე საქმე (1)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 020369	59	89	ქართული	54	ქ. თბილისი, დიდგორის ქ №64
3	ღონისძიების ორგანიზება (1)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში 020370	61	91	ქართული	54	ქ. თბილისი, დიდგორის ქ №64

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

2. სსიპ - პროფესიული კოლეჯი „მოდუსის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №21 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ "მოდუსს" საჯარო განხილვაზე წარმოადგენდა მადონა გოგობერიშვილი, რომელმაც სხდომის თავმჯდომარეს გადასცა შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. დოკუმენტი დაერთო ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ სსიპ - პროფესიული კოლეჯი "მოდუსის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №21 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა განაპირობა საგნობრივ პროგრამებზე კვოტის განსაზღვრის აუცილებლობამ. ამდენად ცენტრში შემოვიდა დაწესებულების განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების კორექტირების საჭიროების შესახებ. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 451-ით.
ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წარუდგინა ცვლილების პროექტი. აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროექტს ასევე იცნობს კოლეჯი, რაც დაადასტურა კოლეჯის ხარისხის მენეჯერმა მადონა გოგობერიშვილმა.
თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიული კოლეჯი "მოდუსის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №21 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ცვლილება განხორციელდეს სსიპ - პროფესიული კოლეჯი „მოდუსის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №21 გადაწყვეტილებაში.

ა) გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 216350829) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (პროფესიული კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 451-ით.

ბ) გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	სავალი ნაწილის ტექნიკოსი	მესამე	სავალი ნაწილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040769	60	ქართული	24	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას № 4
2	ძრავის შემკეთებელი	მესამე	ძრავის შემკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040770	60	ქართული	19	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას № 4
3	ინფორმაციული ტექნოლოგი	მესამე	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040153	45	ქართული	33	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას № 4
4	ელექტროამძრავის და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატი	მესამე	ელექტროამძრავისა და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040561	60	ქართული	8	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას № 4
5	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	მესამე	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080360	60	ქართული	40	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას № 4

6	მასაჟისტი	მესამე	მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090651	60	ქართული	26	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას № 4
7	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020356	60	ქართული	37	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას № 4
8	ნივთიერებებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტი	მესამე	ნივთიერებებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 041052	45	ქართული	12	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას № 4
9	შემდუღებელი	მესამე	შემდუღებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 041272	45	ქართული	18	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას № 4

3. ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი იკაროსის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №26 და ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი „იკაროსისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 3 სექტემბრის №19 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ "იკაროსს" საჯარო განხილვაზე წარმოადგენდნენ, ლია ვაშაკაშვილი და რუსუდან გულაზიანი, რომლებმაც სხდომის თავმჯდომარეს გადასცეს შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. დოკუმენტი დაერთო ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ სსიპ - პროფესიული კოლეჯი "იკაროსის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №26 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა განაპირობა საგნობრივ პროგრამებზე კვოტის განსაზღვრის აუცილებლობამ. ხოლო კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 3 სექტემბრის №19 გადაწყვეტილებაში ცვლილება ეხება მოდულურ პროგრამაში კრედიტების ცვლილებას, ასევე 2 მოდულური პროგრამის: კონსულტანტ-გამყიდველის და მიღება-განთავსების სპეციალისტის გაუქმებას. ამდენად, ცენტრში შემოვიდა დაწესებულების განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების კორექტირების საჭიროების შესახებ. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 800-ით.
ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წარუდგინა ცვლილების პროექტი. აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროექტს ასევე იცნობს კოლეჯი, რაც დაადასტურა კოლეჯის ხარისხის მენეჯერმა ლია ვაშაკაშვილმა.
თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი "იკაროსის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №26 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ცვლილება განხორციელდეს ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი „იკაროსის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №26 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	მზარეული	მეორე	მზარეულის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010463	45	ქართული	300	ქ. თბილისი მარშალ გელოვანის გამზ. №4
2	მზარეული	მესამე	მზარეულის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010463	45	ქართული	65	ქ. თბილისი მარშალ გელოვანის გამზ. №4
3	კონდიტერი	მესამე	კონდიტერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010462	90	ქართული	110	ქ. თბილისი მარშალ გელოვანის გამზ. №4
4	გიდი	მესამე	გიდის (გეოტურიზმის და ა.შ.) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112051	60	ქართული	35	ქ. თბილისი მარშალ გელოვანის გამზ. №4
5	ტუროპერატორი	მესამე	ტუროპერატორის (აგრო-, ეკო- და ა.შ. ტუროპერატორი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112052	60	ქართული	30	ქ. თბილისი მარშალ გელოვანის გამზ. №4
6	სარესტორნო საქმის მწარმოებელი	მესამე	სარესტორნო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112054	45	ქართული	35	ქ. თბილისი მარშალ გელოვანის გამზ. №4

7	სომელიე	მესამე	სომელიეს მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112058	45	ქართული	30	ქ. თბილისი მარშალ გელოვანის გამზ. №4
8	სასტუმრო საქმის მწარმოებელი	მესამე	სასტუმრო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112053	60	ქართული	70	ქ. თბილისი მარშალ გელოვანის გამზ. №4
9	მიმღები-რეცეფციონისტი	მესამე	მიმღები-რეცეფციონისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112055	30	ქართული	45	ქ. თბილისი მარშალ გელოვანის გამზ. №4

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი "იკაროსისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 3 სექტემბრის №19 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, შეიცვალოს ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი "იკაროსისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 3 სექტემბრის №19 გადაწყვეტილების პირველი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ ,,იკაროსს'' (ს/კ: 211351071) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ბართენდერი (1)	მესამე	ბართენდერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112067	61	76	ქართული	80	ქ. თბილისი მარშალ გელოვანის გამზ. №4

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

4. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 13 სექტემბრის №21, სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 30 აგვისტოს №29 და სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 5 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 13 სექტემბრის №21 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა განაპირობა საგნობრივ პროგრამებზე კვოტის განსაზღვრის აუცილებლობამ. ხოლო სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 5 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში ცვლილება ეხება მოდულურ პროგრამებში კრედიტების ცვლილებას. ამდენად, ცენტრში შემოვიდა დაწესებულების განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების კორექტირების საჭიროების შესახებ. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 596 -ით.
ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წარუდგინა ცვლილების პროექტი. აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროექტს ასევე იცნობს კოლეჯი, რაც დაადასტურა კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნოდარ ხარაზიშვილმა. აქვე აღნიშნა, რომ მიზანშწონილად მიაჩნია გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღების თარიღიდანვე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 13 სექტემბრის №21 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ცვლილება განხორციელდეს სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 13 სექტემბრის №21 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 200279448) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 596-ით.

გადაწყვეტილების პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე პუნქტი:

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს" მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ბუღალტერი	მესამე	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 60020151	30	ქართული	24	ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქ.
2	ძრავის შემკეთებელი	მესამე	ძრავის შემკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040770	60	ქართული	20	ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქ.
3	მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორი	მესამე	მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040777	60	ქართული	24	ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქ.

4	ოფისის მენეჯერი (მდივან რეფერენტი)	მეორე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020356	60	ქართული	24	ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქ.
5	ავტომობილის დიაგნოსტიკოსი	მეორე	ავტომობილის დიაგნოსტიკოსის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040768	30	ქართული	40	ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქ.
6	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	მესამე	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080360	60	ქართული	20	ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქ.
7	მცირე ბიზნესის მწარმოებელი	მეოთხე	მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020360	60	ქართული	20	ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქ.
8	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი	მეოთხე	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080377	90	ქართული	32	ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქ.
9	ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი	მესამე	ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040767	60	ქართული	20	ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 30 აგვისტოს №29 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ცვლილება შევიდეს სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 30 აგვისტოს №29 გადაწყვეტილების პირველი პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს" (ს/კ: 2002779448) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	სავალი ნაწილის ტექნიკოსი	მესამე	სავალი ნაწილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040769	60	ქართული	26	ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქ.
2	ტოპოგრაფი	მესამე	ტოპოგრაფის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 050552	60	ქართული	30	ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 5 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ცვლილება განხორციელდეს სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 5 სექტემბრის №26 გადაწყვეტილების პირველი პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს" (ს/კ: 2002779448) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ბუღალტრული აღრიცხვა (1)	მეხუთე	ბუღალტრული აღრიცხვის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020156	99	129	ქართული	80	ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქუჩა
2	ვებ პროგრამისტი (1)	მეხუთე	ვებპროგრამისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040167	115	145	ქართული	28	ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქუჩა

3	ინფორმაციის ტექნოლოგია (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 040171	60	75	ქართული	56	ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქუჩა
4	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი (1)	მეხუთე	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040161	104	134	ქართული	56	ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქუჩა
5	ბანკის მოლარე-ოპერატორი (1)	მესამე	ბანკის მოლარე-ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020455	84		ქართული	40	ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქუჩა
6	საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი (1)	მესამე	საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040163	75	90	ქართული	28	ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქუჩა
7	სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი) (1)	მეოთხე	სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტის (გენერალისტის) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040164	125	155	ქართული	28	ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქუჩა

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 15:25 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ელგუჯა მელაძე

მდივანი
მანანა მახარაშვილი